დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 53 08
26/08/2019

,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №44 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 63-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ',' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №44 08 განკარგულებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,1.მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარით ორი წლის ვადით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ. 82.17.41.033 (საძოვარი), დაზუსტებული ფართობი 2000000.00 კვ.მ. და საიჯარო ქირად განისაზღვროს 3240 (სამიათასორასორმოცი) ლარი წელიწადში.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

53-08-4-201908261249
https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/